პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 91 (1261) ○ ხუთშაბათი, 31 ივლისი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა







# 172:170

## დიდი მატჩი მოგებულია

მოსკოვი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირისა და აშშ-ს მძლეოსანთა მატჩის პირველმა დღემ 8 ქულის განსხვავებით წარმატება მოუტანა სტუმრებს, მაგრამ ჯერ კიდევ წინ იყო გადამწყვეტი შეხვედრები...

ქალთა შორის 200 მეტრზე რბენაში დისტანციის ნახევარზე მეტს ლიდერობდნენ ამერიკელი სპორტსმენები ლ. უილიამსი და ი. დანიელსი, მაგრამ როცა ფინიშამდე დარჩა 10 მეტრი ევროპისა და სსრ კავშირის ჩემპიონი მ. იტკინა დაეწია ლ. უილიამსს. ორივე სპორტსმენი ფინიშთან ერთად იყო შედეგით 24,4 წამი. გამარჯვებული გამოავლინა ფოტოფირმა. პირველი ადგილი მიეკუთვნა ამერიკელს. ვაჟებში ზანგ სპორტსმენს ე. კოლიმურს მთელი თავისი ოსტატობის ჩვენება დასჭირდა, რომ მოეგო ბრძოლა ი. კონოვალოვისათვის. ე. კოლიმურის დროა 21,3 საბჭოთა გუნდის წარმომადგენელი გამარჯვებულს ჩამორჩა 0,1 წამით.

საბჭოთა სპორტსმენების დიდი უპირატესობით დამთავრდა შეჯიბრება 80 მეტრზე თარჯრბენში. აქ ფინიშთან პირველი იყო გ. ბისტროვა—10,8. მას 0.4 წამით ჩამორჩა ნ. ელისეევა (სსრკ). 800 მეტრზე რბენა მოიგო ტ. კურტნეიმ (აშშ).

დიდი ინტერესი გამოიწვია სიმაღლეზე ხტომამ ვაჟთა შორის, სადაც ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები ჩ. დიუმასი (აშშ) და ი. სტეპანოვი (სსრკ). როცა თამასა 206 სანტიმეტრზე აიწია, იგი მხოლოდ საბჭოთა სპორტსმენმა გადალახა. ამერიკელის სამივე ცდა წარუმატებლად დამთავრდა. მაგრამ სიმაღლისათვის ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. ი. სტეპანოვმა ჯერ გადალახა 109, ხოლო შემდეგ 112 სანტიმეტრი და დიდი უპირატესობით გაიმარჯვა. ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში პირველი იყო საბჭოთა სპორტსმენი ა. ჩუიკო — 5 მეტრი და 95 სანტიმეტრი. მეორე ადგილი დაიკავა კაზმინამ, მესამე — ამერიკელმა სმიტმა.

ბირთვის კვრაში გამარჯვება მოიპოვა ე. ბრაუნმა (აშშ) — 16,54. მსოფლიო რეკორდსმენის გ. ზიბინას შედეგი 40 სანტიმეტრით ჩამორჩებოდა გამარჯვებულისას. თარჯრბენში 400 მეტრზე უძლიერესი იყო მსოფლიო რეკორდსმენი გ. დევისი — 50,4, რომელსაც 0,3 წამით ჩამორჩა მისი თანაგუნდელი კოლბრიტი. საბჭოთა სპორტსმენმა ი. ლიტუევმა აჩვენა 51,3 წამი.

საყოველთაო ალტაცება გამოიწვია საბჭოთა სპორტსმენ ო. რიახოვსკის გამოსვლამ სამხტომში. პირველ ცდაზე იგი 15 მეტრსა და 98 სანტიმეტრზე გადახტა. მეორე ცდაზე რიახოვსკიმ აჩვენა ბრწყინვალე შედეგი — 16 მეტრი და 59 სანტიმეტრი. ამ შედეგით ო. რიახოვსკიმ 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა ბრაზილიელი ადემარ და სილვას მსოფლიო რეკორდი. 1500 მეტრზე რბენა მოიგო ჯ. გრელმა (აშშ) — 3.46,7. გამარჯვებულს 0,6 წამით ჩამორჩა საბჭოთა სპორტსმენი ი. პიპინე. 3000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენა, როგორც მოსალოდნელი იყო, დამთავრდა ს. რჟიშჩინის გამარჯვებით — 8.42,0. შუბის ტყორცნაში ვაჟთა შორის პირველი ადგილი დაიკავა საბჭოთა სპორტსმენმა ვ. კუზნეცოვმა — 74,67 მ. ესტაფეტაში 4×400 მეტრზე ფინიშთან პირველი იყო სტუმართა გუნდი.

ჯერ კიდევ მატჩის პირველ დღეს დაიწყო ორი შესანიშნავი ათჭიდელის ამერიკელი რ. ჯონსონისა და ვ. კუზნეცოვის ბრძოლა პირველი ადგილისათვის. 5 სახეობის შემდეგ 109 ქულით წინ იყო რ. ჯონსონი. შეჯიბრების მეორე დღეს მან გაიმარჯვა 110 მეტრზე თარჯრბენში, ბადროსა და შუბის ტყორცნაში. რ. ჯონსონმა სულ დააგროვა 8.302 ქულა და დაიბრუნა მსოფლიო რეკორდსმენის სახელი. ვ. კუზნეცოვს აქვს 7.897 ქულა.

5.000 მეტრზე რბენაში ყველასთვის მოულოდნელად საბჭოთა სპორტსმენებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ამერიკელებმა. როცა პ. ბოლოტნიკოვმა ფეხი იტკინა და წინ გაუშვა დანარჩენი მონაწილენი, გუნდური პირველობის ბედი დამოკიდებული იყო ტალინელ ჰ. პიარნაკივზე, რომელიც კარგა ხნის განმავლობაში ლიდერობდა რბენას. ბოლო წრეზე ესტონელს წამოეწია ამერიკელი უ. დელინჟერი და ფინიშთან ორივე სპორტსმენი ერთდროულად მივიდა. აქ მკერდით წინ აღმოჩნდა საბჭოთა სპორტსმენი. ამ წარმატებამ საბჭოთა გუნდს მოუტანა შესანიშნავი გამარჯვება — 172:170.

• • •

სურათებზე: მარცხნიდან — შუბის ტყორცნაში ქალთა შორის გამარჯვებული საბჭოთა სპორტსმენი ბ. ზალაგაიტიტე. 100 მეტრზე რბენის მომენტი (მარცხნიდან) ედ კოლიმური, იური კონოვალოვი, აირა მერჩისონი და ლეონიდ ბარტენევი. ერნესტ შელბი სიგრძეზე ხტომის დროს. მან დაიკავა პირველი ადგილი ამ სახეობაში.

ფოტოები ლ. დორენსკისა და ა. ბატანოვისა.

საკდესის ფოტოქრონიკა:

# აგიტაციის ცხოველმყოფელი ძალა

რესპუბლიკის რაიონიდან რაიონში, ქალაქიდან ქალაქში გადადის მანქანა, რომელსაც ამშვენებს ტრანსპარანტი — „ამხანაგო ფიზკულტურელებო და სპორტსმენებო, ვემზადოთ ხალხთა II სპარტაკიადისათვის“. მანქანას თან დააქვს კინოდანადგარი სპორტული ფილმით, და რაც მთავარია, დაჰყავს კარგად მომზადებული ლექტორი. რედაქციამ მიიღო ცნობები საქართველოს დასავლეთ და აღმოსავლეთ რაიონებიდან, რომ ლექტორებმა უკვე დაიწყეს თავიანთი საინტერესო საუბრები ქალაქებისა და რაიონების მშრომელებთან. ისინი მათ განუმარტავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის დიდ მნიშვნელობას, აცნობენ სპარტაკიადის დებულებას, მასში შეტანილ სიახლეებს.

ეს ღონისძიება—სააგიტაციო მუშაობა საბჭოთა კავშირის ხალხთა II სპარტაკიადის მოსამზადებელი პერიოდის პირველი ეტაპია და როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, მეტად მნიშვნელოვანიც. როგორც ვიცით, სპარტაკიადა მარტო ფინალურ შეჯიბრებებს როდი გულისხმობს, მისი მთავარი მიზანია მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის აღმავლობა, ახალი კოლექტივებისა და სექციების ჩამოყალიბება. ეს ყველაფერი შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სააგიტაციო მუშაობას ფართოდ გავშლით, თუ სპარტაკიადის დებულებას დავიყვანთ თვითეულ ფიზკულტურელამდე, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სააგიტაციო მუშაობას მარტო ჩვენი ძალებით ვერ გავშლით და არც ორი ლექტორის საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში მოგზაურობაა საკმარისი. საჭიროა ამ საქმეში ქმედითად გამოვიყენოთ პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანოების დახმარება, საქმეში ჩავაბათ სამეურნეო ორგანიზაციები. II სპარტაკიადის მზადების პერიოდში პირველ რიგში დაგვჭირდება სხვადასხვა ლიტერატურის გამოცემა. ჩვენ ახლა არ ვაყენებთ საკითხს ამ პერიოდში მხატვრული ლიტერატურის შექმნის შესახებ (თუმცა არც ეს იქნებოდა ურიგო), მაგრამ აუცილებლად გვჭირდება მეთოდური ლიტერატურა და შეჯიბრებათა წესები. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონებში გაბნეული მწვრთნელები ინსტიტუტში ან რომელიმე კურსებზე ჩაწერილი კონსპექტებით და საკუთარი გამოცდილებით ამეცადინებენ სექციებს. წვრთნის მეთოდები წინ მიდის და შეჯიბრებათა ჩატარების წესებიც ხშირად იცვლება. ჩვენთვის კი ასეთი სახის ლიტერატურა საკმაოდ არ გამოდის. აი მაგალითად, რას მიაწვდის გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ მიმდინარე წელს ჩვენს სპორტსმენებს. მათი ძუნწი გეგმიდან მხოლოდ ერთი წიგნი თუ შეეფარდება სპარტაკიადისათვის მზადებას. ეს არის ლ. გიორგაძის „მძლეოსნობა“, რასაკვირველია, იმ შემთხვევაში თუ მას ეღირსა დღის სინათლე. ფიზკულტურულ ორგანიზაციებს თავისი საკუთარი გამომცემლობა რომ ქონდეთ, მაშინ საქმე ასე არ იქნებოდა, მაგრამ რადგანაც ასეთი არა გვაქვს, სხვა გამომცემლობები უნდა შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში, უნდა შეიგრძნონ ის თუ რა საპასუხისმგებლო საქმეში არიან ჩაბმული რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ მათ.

ლიტერატურის გარდა გვჭირდება მხატვრული და სასწავლო პლაკატები. მართალია, სასწავლო პლაკატებს საკავშირო კომიტეტი ხანდახან გვიგზავნის ხოლმე, მაგრამ ცოტას და ისიც არასისტემატურად. ამიტომ საჭიროა შევქმნათ ჩვენი საკუთარი. ამის სპეციალისტები რესპუბლიკაში არიან, საჭიროა მათი საქმეში ჩაბმა და პრაქტიკულ საქმიანობაზე გადასვლა. გასული სპარტაკიადის მზადებისას გამოშვებულ იქნა ორი მხატვრული პლაკატი. ვერ ვიტყვით, რომ ისინი მაღალი გემოვნებით იყო შესრულებული. წელს საჭიროა ეს ციფრი გაზრდილ იქნას იმდენით, რამდენი სპორტის სახეობაცაა სპარტაკიადაში.

ჩვენი მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები ახლოს უნდა მივიდნენ სპორტსმენებთან. მათი ასპარეზობის ტრიბუნებიდან ცქერა ყველას შეუძლია, მაგრამ მათი ცხოვრების აღწერა კი არა. არა გვაქვს მაღალმხატვრული ფიზკულტურული მარშები, მოთხრობები, ლექსები, კინოსურათები, თეატრალური დადგმები. ფიზკულტურასა და სპორტს მეტი დრო უნდა დაუთმოს რადიომ. მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ საჭიროა აამოქმედოს თავისი აქტივი.

რესპუბლიკის ქალაქების, რაიონების, ოლქების ფიზკულტურის კომიტეტებმა კომკავშირის სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმებით უნდა მოამზადონ სააგიტაციო მოტოველო ან ქვეითი ლაშქრობა, კოლონა გააფორმონ გემოვნებით, გააყოლონ მომზადებული ლექტორი, შემოიარონ რაიონის ყველა სოფელი და ხალხს გააცნონ სპარტაკიადის მიზნები.

ჩვენ ყველამ ვიცით უნარიანად დაყენებული აგიტაციის ცხოველმყოფელი ძალა. სწორედ ეს ძალა გვჭირდება ამ მომენტში, რათა თავიდანვე სწორი მიმართულება მივცეთ სპარტაკიადისათვის მზადებას.

## ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე

23 ივლისს ბუდაპეშტში შედგა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი.

ფედერაციამ მიიღო ახალი წევრები: კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა, ავღანეთი, პორტო-რიკა და მალაია. ამრიგად, ამჟამად ფედერაციაში ირიცხება 72 წევრი.

კონგრესმა დაადგინა თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში მსოფლიო პირველობათა გათამაშების თარიღები: მსოფლიო პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში და მსოფლიო თასის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში მოხდება 1959 წელს თეირანში; მსოფლიო პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში გაიმართება 1961 წელს სტოკჰოლმში. იმავე წელს ტოკიოში ჩატარდება მსოფლიო თასის გათამაშება თავისუფალ ჭიდაობაში.

17
აგვისტოს
თბილისის
„დინამოს“
სტადიონზე
აღიმართება
მოსწავლეთა V
საკავშირო
სპარტაკიადის
ალამი




მოსწავლეთა
V
საკავშირო
სპარტაკიადის
წინასწარი
შეჯიბრებები
დაიწყება
7
აგვისტოს

# სად, როდის და რომელ სახეობაში ჩატარდება

| აგვისტო | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | ჩატარების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ჩოგბურთი | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | — | 9 ს<br>19—30 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | „დინამოს“, „ბურევესტნიკის“, თბ. კომიტეტის, ფიზ. ინსტიტუტისა და „განთიადის“ კორტები |
| კალათბურთი | — | — | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>19—30 ს | 9 ს<br>18 ს | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | ს. მ. კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონი |
| წყალბურთი | — | — | — | 15—30 ს | 15—30 ს | 14 ს | 14 ს | 14 ს | — | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | თბ. კომიტეტისა და „განთიადის“ აუზები. |
| ფრენბურთი | — | — | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18—30 ს | 9 ს<br>18 ს | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | „განთიადის“ მოედნები. |
| ფეხბურთი | — | — | — | 9 ს<br>19 ს | 9 ს<br>19 ს | — | 9 ს<br>19 ს | 9 ს<br>19 ს | — | 9 ს<br>19 ს | 9 ს<br>19—30 ს | — | 9 ს<br>19 ს | 9 ს<br>19 ს | — | 9 ს<br>18 ს | „დინამოს“, „ბურევესტნიკისა“ და სტუდენტთა ქალაქის სტადიონები |
| მაგიდის ჩოგბურთი | — | — | — | — | — | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>19—30 ს | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | — | 9 ს<br>18 ს | 9 ს<br>18 ს | ფიზ. ინსტიტუტის დარბაზი |
| მძლეოსნობა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 10 ს<br>16—30 ს | 10 ს<br>18 ს | 10 ს<br>13 ს | 10 ს<br>18 ს | 10 ს<br>18 ს | — | „დინამოს“ სტადიონი |
| ცურვა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 11 ს | 11 ს | 11 ს | 11 ს | 11 ს | — | თბ. კომიტეტის აუზი. |
| სროლა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 8 ს | 8 ს | 8 ს | 8 ს | 8 ს | — | დიღმის სასროლეთი. |
| ტანვარჯიში | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10 ს | — | ვ. ი. ლენინის სახ. დარბაზი |
| წყალში ხტომა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 13 ს | 13 ს | 13 ს | 13 ს | — | თბ. კომიტეტის აუზი. |
| ნიჩბოსნობა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 10 ს | 10 ს | 10 ს | 10ს | — | მცხეთის საწყლოსნო სადგური |
| ველორბოლა | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | 9 ს | — | 9 ს | — | საქ. სსრ სამხედრო გზა. |

## უხერხული მდგომარეობა

სტალინირში თითქმის ყველა სპორტული ბაზა, სადაც იმართება შეჯიბრებები, მოთავსებულია კულტურისა და დასვენების პარკში. ეს თავისთავად კარგია. მაგრამ სპორტის მოყვარულები ამის გამო ერთგვარ უხერხულობას განიცდიან.

იმისათვის, რომ მოხვდეს სტადიონზე, გულშემატკივარმა ჯერ უნდა იყიდოს პარკში, ხოლო შემდეგ სტადიონზე შესასვლელი ბილეთი. ეს გარემოება დაკავშირებულია როგორც ზედმეტ ხარჯებთან, ისე დროის დაკარგვასთან, რადგან ორივე სალაროსთან გრძელი რიგები დგას ხოლმე.

საჭიროა ეს მიუღებელი და უხერხული მდგომარეობა გამოსწორდეს. ჩვენის აზრით, სწორი იქნება, რომ სალაროში იყიდებოდეს ცალკე პარკში შესასვლელი და ცალკე სტადიონზე თუ სხვა სპორტულ ღონისძიებაზე დასასწრები ბილეთი.

ი. შერეზადაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი.

## ჩვენი მკითხველები გვწერენ

### გვჭირდება კეთილმოწყობილი ბაზები

დიდი სიყვარულით სარგებლობს სპორტი ჩვენს რაიონში. ახალციხის სტადიონები სავსეა ახალგაზრდა სპორტსმენებით, რომლებიც იმაღლებენ თავიანთ სპორტულ ოსტატობას მძლეოსნობაში, ფეხბურთში, კალათბურთში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში და სხვა. ახალციხეში 4 საშუალო სკოლა და 2 ტექნიკუმია, მაგრამ მათი სპორტული მოედნები ვერ აკმაყოფილებენ სპორტსმენთა მოთხოვნილებებს. მაგალითად, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, რომლებიც ქალაქის დასვენების პარკში იყო, დაეთმო კულტურის სახლის მშენებლობას და მოედნები გადატანილი იქნა ქალაქის სტადიონზე. უკვე მესამე თვეა მიმდინარეობს მათი იქ მოწყობა, მაგრამ საქმის დამთავრებას ბოლო არ უჩანს.

ბუნებრივად კარგ ადგილზე მდებარე სტადიონს ამშვენებს საცურაო აუზი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს ჩვენი ქალაქის ახალგაზრდობას ცურვის ტექნიკის დაუფლების საქმეში. მაგრამ მას დიდი ნაკლი გააჩნია: წყლის გამოცვლის შემდეგ მთელი თვე უნდა ელოდო აუზის ხელახლა გავსებას.

ახლოვდება ახალი სასწავლო წელი, საჭიროა სპორტული ბაზების შეკეთება. მარტო ქალაქის სპორტდარბაზი ვერ უზრუნველყოფს ქალაქის ახალგაზრდობის მოთხოვნილებებს. საჭიროა მწყობრში ჩავაყენოთ რაიონში არსებული პირველხარისხოვანი დარბაზი, რომელიც ახალციხის პედაგოგიურ სასწავლებელს ეკუთვნის.

შ. გოგოლაძე

### როდის ველირსებით მოედანს

სოფელ ნაესაკოვოში (აბაშის რაიონი) ბევრია სპორტის მოყვარული ახალგაზრდა. 1952 წლამდე ისინი საინტერესო სპორტულ ცხოვრებას ეწეოდნენ. სოფლის საფეხბურთო მოედანზე ხშირად იმართებოდა ამხანაგური შეხვედრები, მატჩები სარაიონო პირველობაზე და სხვ.

მაგრამ ეს იყო წარსულში. უკვე ექვსი წელია, რაც კოლმეურნეობის გამგეობამ გადახნა მოედანი და სოფელში ჩაიშალა სპორტული თამაშები. ახალგაზრდებმა მრავალჯერ მიმართეს აბაშის „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარეს დახმარებისათვის, მაგრამ ამაოდ.

როდემდის გაგრძელდება ახალგაზრდების სურვილის უგულებელყოფა, როდის ველირსებით მოედანს?

რ. ალანია

### მუშაობა ჩაშლილია

ზესტაფონის რკინიგზის კვანძის საწარმოებში რამდენიმე ასეული ახალგაზრდა მუშაობს, მაგრამ მათი სურვილი, იმეცადინონ სპორტის სხვადასხვა სახეობაში, დღემდე არაა დაკმაყოფილებული. ეს აიხსნება იმით, რომ აქ არავითარი ყურადღება არ ექცევა მასობრივ-ფიზკულტურულ მუშაობას.

ფორმალურად არსებობს ფეხბურთისა და ფრენბურთის გუნდები. მიმდინარე წელს გეგმით აქ უნდა მომზადდეს 100-მდე ნიშნოსანი და თანრიგოსანი, მაგრამ დღემდე ერთი კაციც არ მომზადებულა. ან როგორ უნდა მომზადდეს, როცა სპორტის არც ერთ სახეობაში არ მუშაობს სექცია.

შექმნილი მდგომარეობა კარგადაა ცნობილი როგორც კვანძის კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, ისე „ლოკომოტივის“ სამტრედიის განყოფილების ხელმძღვანელთათვის, მაგრამ მის გამოსწორებისათვის არავინ ფიქრობს.

ხ. ტალახაძე

### კახეთის ველ-მინდვრებზე

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თელავის ბავშვთა საექსკურსიო ტურისტული ბაზა, სადაც განუწყვეტლივ მოედინება ნორჩ ტურისტთა ნაკადი.

საექსკურსიო-ტურისტულმა ბაზამ მიმდინარე სეზონში უკვე მიიღო 6 ტურისტული ჯგუფი 120 კაცის შემადგენლობით. აქ იყვნენ სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის შვიდწლიანი სკოლის მოსწავლეები და პედაგოგები, თბილისელი პიონერები და სხვ. სეზონის ბოლომდე ბაზა მიიღებს კიდევ 25 ჯგუფს. აქ ჩამოვლენ ასპინძის, კასპის, ახალქალაქის, ლაგოდეხის, ხაშურისა და სხვა რაიონების სკოლათა მოსწავლეები.

გასულ წელს თელავის საექსკურსიო-ტურისტული ბაზა ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოებულ იქნა ბავშვთა ტურისტული ბაზის ცენტრალური რესპუბლიკური სადგურის ქების ორი სიგელით.

ხ. ჭუჭაბერიძე

## წაიკითხეთ ეს წიგნი

# ტურისტის მეგზური

თბილისი და მისი მიდამოები, გარე და შიგა კახეთი საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხეებია. ალაზნის ველის სინატიფით აღფრთოვანებული პოეტი არტურ ლეისტი ასე მიმართავდა კახეთს: „შენ უშრეტი სალარო ხარ პოეზიის, სინათლის და სილამაზის". ყოველწლიურად ათასობით ტურისტი, ექსკურსანტი, მოგზაური ეწვევა ხოლმე ჩვენს დედაქალაქს, ცივ-გომბორის ქედს, თელავს, ალაზანს, შირაქის ველს...

მარტო შარშან თბილისის ტურისტულმა ბაზამ 17.300 კაცს გაუწია მომსახურება. საქართველოს დედაქალაქი და კახეთი მრავალმა უცხოელმა ტურისტმა ინახულა. მომავალ წელს დაწესდება ახალი მარშრუტი, რომლის მიხედვით ტურისტები თელავსა და ლაგოდეხსაც დაათვალიერებენ. დედაქალაქის 1500 წლისთავთან დაკავშირებით მოეწყობა თბილისელთა მასობრივი ექსკურსიები. ამ ღირსშესანიშნავი იუბილესათვის მზადების დღეებში დიდი მნიშვნელობა აქვს მკითხველთა ფართო მასებს დაწვრილებით გააცნო თბილისის აწმყო და წარსული, გარე და შიგა კახეთის ცხოვრება, უზრუნველჰყო ამ მხარეში მოგზაურობის მსურველნი, ტურისტები და ექსკურსანტები საინტერესო საცნობარო მასალებით. ამ საპატიო ამოცანის შესრულებას ხელი მოკიდა ი. არჯევანიძემ, რომლის ნაშრომი „თბილისიდან ალაზნის ველისაკენ" ამ დღეებში გამოუშვა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ". ეს წიგნი უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში კახეთის მხარეთმცოდნეობითი აღწერის პირველი ცდაა. როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, „ამ პოპულარულ ნაშრომს სისრულის პრეტენზია არა აქვს". მიუხედავად ამისა, მასში საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი საინტერესო ცნობები თბილისზე, ალაზნისა და შირაქის ველებზე, კახეთის ისტორიულ ძეგლებზე... იგრძნობა, რომ ავტორს დიდი შრომა გაუწევია და ფართოდ გამოუყენებია საკუთარი დაკვირვებანი.

წიგნის პირველ ნაწილში აღწერილია თბილისის წარსული და აწმყო, კრწანისის ეპოპეა, სამგორის ველი, გარე-კახეთი თავისი ისტორიული ძეგლებით.

მეორე ნაწილი შეიცავს კახეთ-ჰერეთის ისტორიას, ძველ და ახალ ყოფას.

მესამე ნაწილში ვრცლადაა აღწერილი კახეთის ღირსშესანიშნავი ადგილები და ისტორიული ძეგლები. დიდი ინტერესით იკითხება მასალები თელავის წარსულიდან, გრემისა და ნეკრესის ძეგლებზე, ლაგოდეხის კომპლექსურ ნაკრძალზე.

წიგნს დართული აქვს იყალთოს მონასტრისა და აკადემიის ნანგრევების, ციხე-ქალაქ ხორნაბუჯის, თბილისისა და კახეთის თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ფოტოსურათები, შენიშვნები და განმარტებანი.

ნარკვევი „თბილისიდან ალაზნის ველისაკენ" ძვირფას დახმარებას გაუწევს ტურისტებს. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, იგი მათი მეგზურის როლს შეასრულებს.

ი. ივანიშვილი




### I ზონა

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

ქუთაისში შედგა მატჩი ადგილობრივ „დინამოსა" და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

ენერგიულად, დიდი მონდომებით ჩაატარეს შეხვედრა თავიანთ მინდორზე ქობულეთის „კოლმეურნის" ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 1:0 დაამარცხეს თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს გუნდი.

### II ზონა

ბათუმის „დინამომ" თავის მინდორზე მიიღო ქუთაისის „ტორპედო". 90 წუთის განმავლობაში ანგარიში არ გახსნილა — 0:0.

ზუგდიდის „ოდიშმა" თავისი მორიგი მატჩი ჩაატარა მახარაძეში ადგილობრივი „კოლმეურნის" წინააღმდეგ. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

საინტერესო ბრძოლით აღინიშნა სამტრედიის „ლოკომოტივისა" და თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდების შეხვედრა. იგი დამთავრდა ფრედ ანგარიშით 2:2.

ჭიათურის „მაღაროელმა" თავის მინდორზე ჩაატარა შეხვედრა ლანჩხუთის „კოლმეურნესთან". სტუმრების უპირატესობა აშკარა იყო ორივე ტაიმის განმავლობაში და გამარჯვებაც მათ ხვდათ წილად — 5:2.

რუსთავში თამაშობდნენ ადგილობრივი „სხივი" და ქ. ფოთის გუნდი. ფოთელებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 ივლისისათვის

ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 12 | 7 | 4 | 1 | 30:13 | 18 |
| ცსკ მო | 13 | 6 | 4 | 3 | 25:15 | 16 |
| „შახტიორი" | 13 | 6 | 3 | 4 | 14:15 | 15 |
| „ზენიტი" | 11 | 5 | 4 | 2 | 21:13 | 14 |
| „ლოკომოტივი" | 12 | 5 | 4 | 3 | 20:14 | 14 |
| „დინამო" მ. | 12 | 5 | 2 | 5 | 21:17 | 12 |
| „ტორპედო" | 11 | 3 | 6 | 2 | 27:23 | 12 |
| „დინამო" თბ. | 13 | 5 | 2 | 6 | 24:36 | 12 |
| „დინამო" კ. | 11 | 2 | 6 | 3 | 19:17 | 10 |
| „კრ. სოვეტოვი" | 11 | 1 | 6 | 4 | 7:14 | 8 |
| „მოლდოვა" | 12 | 1 | 5 | 6 | 13:27 | 7 |
| „ადმირალტეეცი" | 13 | 3 | 0 | 10 | 17:34 | 6 |

• • •

სტალინო. 28 ივლისი. დღეს აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „შახტიორი" (სტალინო) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი)

მატჩი მოიგო „შახტიორმა" — 2:1.



## ხელიდან გაშვებული მოგება

მოსკოვი. 30 ივლისი. „დინამოს" სტადიონზე შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ მოსკოვისა და თბილისის „დინამოს" თანაკლუბელთა გუნდები.

მატჩი დაიწყო მოსკოველთა საკმაოდ ხანგრძლივი შეტევით, მაგრამ მათი კომბინაციები იშლებოდა სტუმრების საჯარიმო მოედნის სიახლოეს.

შემდგომში თბილისელებმა გაათანაბრეს თამაში. მე-15 წუთზე მელაშვილმა გადასცა ბურთი ლოლობერიძეს. ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმა მოიგერია მეკარე ბელიაევმა, მაგრამ ბურთს მიუსწრო გაგნიძემ და უძლიერესი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

თბილისელთა იერიშები სულ უფროდაუფრო მძლავრდებოდა. 30-ე წუთზე კომბინაცია იამანიძე-მელაშვილი-იამანიძე დამთავრდა მეორე გოლით მასპინძელთა კარში — 2:0.

შესვენების შემდეგ მდგომარეობა მინდორზე შეიცვალა. მოსკოველებმა საფუძვლიანად აიღეს ხელთ ინიციატივა და ურინმა მე-7 წუთზე გაიტანა პირველი საპასუხო გოლი — 1:2. ცოტა ხანში მარცხენა შუამარბი ფედოსოვი კარგად გავიდა მცველებს შორის და გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

მატჩის დამთავრებას აკლდა 12 წუთი, როცა ურინმა კარგად გამოიყენა რამიშვილის შეცდომა და გაიტანა გადამწყვეტი ბურთი, რომელმაც მოსკოვის „დინამოს" მოუტანა გამარჯვება ანგარიშით 3:2.

## საპრიზო ადგილზე

ტულაში დამთავრდა საკავშირო შეჯიბრება ველოსპორტში (ტრეკი) ჭაბუკთა შორის, რომელშიც მონაწილეობდა 13 გუნდი. თბილისის ჭაბუკთა ნაკრებმა გუნდმა დაიკავა მე-3 საპრიზო ადგილი. წარუმატებლად გამოვიდა რესპუბლიკის დედაქალაქის გოგონათა კოლექტივი, რომელიც მე-11 ადგილზე აღმოჩნდა.

ჭაბუკთა ჯგუფურ რბოლაში 60 წრეზე პირველობა წილად ხვდა თბილისელ გ. გეორქოვს („სპარტაკი").

ა. გუნია,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

## ოთხი ქალაქის მატჩი

27-28 ივლისს რუსთავში ჩატარდა 4 ქალაქის [illegible] შეხვედრა, რ[illegible]ობდნენ ქუთაისის, სოხუმის, რუსთავისა და ფოთის გუნდები. პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისელი სპორტსმენები. რუსთავის გუნდმა დაიკავა მეორე საპრიზო ადგილი.



სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებული ქუთაისის ძალოსანთა გუნდი. ქვევით — შეჯიბრების მომენტი.

ფოტო რ. მორჩილაძისა.

## მეგობრები კვლავ ხვდებიან ერთმანეთს

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 30 ივლისი.

სკვო (თბილისი) — „ტაჯი" (თეირანი, ირანი) — 4:1 (2:1).

„ტაჯი"—ბაიატი (ტუიუბი); ზამინი, რანჯბარი, სიადატი; არეფი, არხავანი; ხასანბეგი, აფშაი, ხაჯი, კუბეკანონი, ჯედიკარი.

სკვო — ვ. ივანოვი (ჭანტურია); ჭანჭალეიშვილი, გაიხარაშვილი (სერგა), კვირკველია; მიროშნიკოვი, ხელაძე; მიქაძე, ნორაკიძე, ზეინკლიშვილი, კურტანიძე, ა. ივანოვი (ურთქმელიძე).

მსაჯი ნ. ლატიშევი (მოსკოვი).

თბილისის სკვო-სა და ირანელ ფეხბურთელებს შორის შარშან ჩატარდა რამდენიმე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. ეს ტრადიცია გაგრძელდა წელსაც და მეგობრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

მასპინძლები თამაშის დასაწყისშივე წააწყდნენ ირანელთა ღრმად ეშელონირებულ, რამდენიმე ხაზად მოწყობილ დაცვას, სადაც არც ისე იოლი აღმოჩნდა გასვლა. „ტაჯის" დაცვა, ეს ფაქტიურად იყო 4 მოთამაშე საჯარიმო მოედანზე და 3 ნახევარდაცვის ზონაში, მათგან ერთი, კერძოდ არეფი ე. წ. „სტოპერის" როლს ასრულებდა და მოქმედებდა მასპინძელთა ცმ ფორვარდის წინააღმდეგ, რომელიც შეძლებდა ამ „ყრუ დაცვის" გარღვევას და კარის სიახლოეს გავიდოდა.

თბილისელებმა კარგა ხანს ვერ მოძებნეს გასაღები „ტაჯის" ასეთი სისტემის საწინააღმდეგოდ. როგორც კი ირანელთა კართან აეწყობოდა რამდენიმე შეტევა ზედიზედ, სტუმრები სასწრაფოდ აწყობდნენ მოთამაშეთა დამატებით მობილიზაციას თავდასხმიდან და არმიელთა იერიშები კვლავ ქრებოდა საჯარიმო მოედანთან. ხიფათის თავიდან აცილებისთანავე „მივლინებული" ფორვარდები უბრუნდებოდნენ თავდასხმას.

37-ე წუთზე, ხანგრძლივი შეტევის შემდეგ თბილისელებმა გახსნეს ანგარიში: მარჯვენა მხრიდან მოწოდებული ბურთი ზუსტი დარტყმით გაიტანა ზეინკლიშვილმა — 1:0.

ერთი წუთის შემდეგ მეკარე ბაიატის შეცდომა მეორე გოლად დაუჯდა „ტაჯს". იგი მაღალი ბურთის მისაღებად გამოვიდა კარიდან, ვერ შეძლო მისი ხელში გაჩერება და გაუშვა კარში — 2:0.

საპასუხო გოლი ირანელებმა გაიტანეს 42-ე წუთზე სკვო-ს მცველთა შეცდომის შედეგად. ჯედიკარმა ბურთი ახლო მანძილიდან ნელა გაგზავნა კარში — 1:2.

შესვენების შემდეგ სტუმრები უფრო ცოცხლად და აქტიურად თამაშობდნენ, მაგრამ თბილისელები მოწინააღმდეგეზე აშკარად ძლიერი იყვნენ როგორც ტექნიკურად, ისე სისწრაფით და შეტევის სიმძლავრით.

მე-16 წუთზე ურთქმელიძემ კარგად შეურჩია ადგილი ზეინკლიშვილის გადაცემას და მესამე ბურთი გაიტანა, ხოლო ცოტა ხანს შემდეგ მანვე მეოთხედ აიძულა ირანელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

საერთაშორისო მატჩი, რომელიც მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა, დამთავრდა თბილისის არმიელთა გუნდის გამარჯვებით ანგარიშით 4:1.

რ. ქორიძე

# „დინამოს" სპარტაკიადის წინ

7 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნება სპორტსაზოგადოება „დინამოს" საიუბილეო საკავშირო სპარტაკიადა. ძირითადი ბრძოლა დინამოელთა ორგანიზაციებს შორის გაიმართება თვით სპარტაკიადის დღეებში, მაგრამ ახლა მიმდინარეობს შესარჩევი თამაშები ფეხბურთში, კალათბურთში, წყალბურთსა და ფრენბურთში. საქართველოს დინამოელებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა რამდენიმე შეხვედრაში.

ფეხბურთელები ვერ მოხვდნენ ფინალში. გუნდმა, რომელიც დაკომპლექტებული იყო ძირითადად სოხუმელ ფეხბურთელთაგან, წააგო (0:1) მატჩი ბაქოელ თანაკლუბელებთან. კალათბურთელები, რომლებთან შეხვედრაზე უარი თქვეს გროზნოს სპორტსმენებმა, შეხვდნენ ყაზანის „დინამოს". ჩვენი დინამოელების უპირატესობა აშკარა იყო და გუნდის მეორე შემადგენლობამ გაიმარჯვა ანგარიშით 97:50.

კალათბურთელ ქალთა გუნდმა ბაქოელებთან ძნელი გამარჯვების შემდეგ წააგო შეხვედრა კიეველებთან — 36:74. იგი ითამაშებს მხოლოდ მე-5-10 ადგილებისათვის. ცუდად ითამაშეს ფრენბურთელმა ქალებმაც, რომლებსაც ასევე მოუწევთ ბრძოლა მე-5-10 ადგილებისათვის.

კარგი, შეწყობილი თამაში გამოავლინეს ფრენბურთელმა ვაჟებმა, რომლებმაც დაამარცხეს ერევნის, ბაქოსა და სტალინაბადის გუნდები (თვითეული ანგარიშით 3:0) და გავიდნენ ფინალში.

თბილისელი წყალბურთელები, ისევე, როგორც მათი მოსკოველი კოლეგები, პერსონალურად არიან დაშვებული ფინალში.

მ. ამნიაშვილი



მიმდინარე წელს სოხუმი ინახულა ამერიკის შეერთებული შტატების, ფინეთის, ეგვიპტის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების 600-ზე მეტმა უცხოელმა ტურისტმა. ამას წინათ სოხუმის ნავსადგურში თბომავალ „პეტრე დიდით“ ჩამოვიდა 200 ჩეხოსლოვაკელი ტურისტი.

ს უ რ ა თ ზ ე: ჩეხოსლოვაკელი ტურისტების ჯგუფი თბომავალ „პეტრე დიდზე“ სოხუმის ნავსადგურში.

ფოტო და ტექსტი ჯ. ანთიასი

## სპორტი ქალაქებსა და რაიონებში

### ტყვარჩელი

10 დღეზე მეტ ხანს გასტანა პირველობამ ფრენბურთში „ტყვარჩელნახშირის“ ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოს საამქროების გუნდებს შორის, რომელიც მოაწყო სახელოსნოს პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტმა ლენინური კომკავშირის მე-40 წლისთავის აღსანიშნავად.

პირველობას ერთმანეთს ეცილებოდა 6 კოლექტივი, რომელთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა ელექტროსაამქროს გუნდი.

ს. არაჯამია

### გორი

20 ივლისს ჩატარდა გორის რაიონის პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდნენ მეჯვრისხევის, სკრის, ზეღდულეთის, ატენის, ხიდისთავის, ქვეშის, ქინწისის კოლმეურნეობისა და გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოჭიდავეთა გუნდები. ორი დღის ბრძოლების შედეგად რაიონის ჩემპიონის სახელი მოიპოვა სოფელ მეჯვრისხევის გუნდმა.

გ. როინიშვილი

## „პიონერის“ საჭადრაკო კონკურსი

ჟურნალი „პიონერი“ აცხადებს თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ კონკურსს საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში, რომელშიც მონაწილეობა შეუძლია მიიღოს საბჭოთა კავშირის პიონერული ორგანიზაციის ყველა წევრს.

კონკურსი ეწყობა ორ და სამსვლიანი ამოცანებისა და ეტიუდების შედგენაში. წარმოდგენილი ამოცანა თუ ეტიუდი დიაგრამაზე უნდა იქნას დახატული, დაწვრილებითი ამოხსნით. მას თან უნდა დაერთოს, შემდგენელის გვარი, სახელი, მამის სახელი, სკოლა, კლასი და მისამართი. კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია ფასიანი საჩუქრები, საპატიო და საქები შეფასებანი.

კონკურსის მონაწილეებმა თავიანთი ნაწარმოებები უნდა გამოგზავნონ 1958 წ. 1 ოქტომბრამდე, მისამართით: თბილისი, პლეხანოვის პროსპექტი № 91, ჟურნალ „პიონერის“ რედაქციას. კონვერტზე წარწერით „საჭადრაკო კონკურსისათვის“.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება ნოემბერში.

## კრივი — ბოროტმოქმედების ბიზნესი

დაუღალავად ძარცვავდა ჯეკობსი თავის მოკრივეებს, რომლებიც მას ხელში უვარდებოდნენ. დენ პარკერი ამერიკულ გაზეთში „დეილი მირორში“ ჯეკობსს უწოდებდა „ყველაზე ძუნწ, მკაცრ და უნამუსო დიქტატორს, რომლის მსგავსი არ იცის კრივის სამყარომ“.

როცა 1953 წელს მას გულის შეტევები დაეწყო, ჟურნალისტები კითხულობდნენ: „როგორ შეიძლება კაცს, რომელსაც გული არა აქვს, გულის შეტევები ჰქონდესო?“.

ჟურნალი „ლუკი“ წერდა: „თვითეულმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს როგორ გამოიყენოს თავისი მუშტი პროფესიონალურ რინგზე. იგი ებრძვის არა მარტო მეტოქეს რინგზე, არამედ სისტემას, რომლის მიზანია მოტყუება და ახალგაზრდა ადამიანების დაღუპვა. საშუალო პროფესიონალი მოკრივე თავისი კარიერის პერიოდში იმაზე ნაკლებს აკეთებს, ვიდრე მაგალითად, გააკეთებდა ამ ხნის განმავლობაში საბარგო ავტომანქანის მძღოლად ყოფნის დროს.

ამერიკაში მოკრივის საშუალო ხელფასი 25 დოლარს აღწევს 4-რაუნდიანი, ხოლო 50 დოლარს 6-რაუნდიანი ბრძოლისათვის, მაგრამ ამ თანხიდან ორი მესამედი მიდის მატჩის მომწყობის, მენაჯერისა და წვრთნის დროს გაწეული ხარჯების სასარგებლოდ. გამონაკლისს წარმოადგენს მატჩები დიდ სტადიონებზე, სადაც მოკრივეს აძლევენ 300-დან 1000 დოლარამდე. აქ 60-70 პროცენტი ეძლევა გამარჯვებულს. 30-40 დამარცხებულს, თუ გავითვალისწინებთ დიდ გადასახადს, რომელსაც შეხვედრის მონაწილეები იხდიან, ვასაგები იქნება, რომ მათ მხოლოდ გროშები რჩებათ.

„მოკრივეები ოპტიმისტები არიან, — წერდა ზანგური ჟურნალი „ებონი“, — ხედავენ რა თავიანთ პოპაველს ჰუჭყიანი კრივის დარბაზებიდან, მათ ელანდებათ მხოლოდ ფულით სავსე ჩემოდნები და სხვა ბრალერი“.

„მხოლოდ ჯო ლუისზე, — აცხადებს ჟურნალი „ლუკი“, — 10.000 მძიმე წონის მოკრივე მოდის, რომლებიც 30 წლისათვის ინვალიდები გახდნენ. უმრავლესობას სულიერი და სხვა ავადმყოფობა აწუხებთ. ყოველ დემპსეიზე, ტუნეიზე და შმელინგზე 10.000 მოკრივე მოდის, რომლებმაც ფულის ნაცვლად დასახიჩრებული ცხოვრება მიიღეს“.

50-იან წლებში ჯეკობსის ნაცვლად მოვიდა ახალი მონოპოლისტი — ჯეიმს ნორისი, რომელიც ამასთან ერთად ითვლება შაქრის კორპორაციის დირექტორად, მარცვლეული კულტურების კომპანიის მფლობელად, ამერიკის კვების ტრესტის დირექტორად, ჩიკაგოს ეროვნული ბანკის დირექტორად და სხვა სამრეწველო და ფინანსური საწარმოთა უფროსად. ნორისმა შემოსავლის გაზრდის მიზნით შეძლო გამოეყენებინა ტელეხედვა — კავშირის ახალი საშუალება კრივსა და მაყურებლებს შორის; იგი აწყობდა კრივის მატჩების ყოველდღიურ სატელევიზიო გადაცემებს მთელს კონტინენტზე — ატლანტიკიდან — წყნარ ოკეანემდე, სადაც იყენებდა ტელეხედვის აპარატებს მატჩების ფასიანი ყურებისათვის საზოგადოებრივ ადგილებში, ტრანსლიაციას დიდ ეკრანებზე კინოთეატრების უდიდეს ქსელში, რომლებიც გაფანტულია ამერიკის ყველა ქალაქში. ნორისი მაყურებელს იძულებულს ხდიდა გადაეხადა 3-დან 4 დოლარამდე. უჩვიდეს მატჩებს იგი იღებდა სტერეოფირზე. რასაც აგრეთვე მოჰქონდა დამატებითი მოგება.

პროფესიონალური კრივი ამერიკაში დანაშაულებრივი სამყაროს შემოსავლის წყაროცაა. აქ ფართოდაა გამოყენებული მოკრივის მიერ გადასახადის გაღება განგსტერთა ჯგუფის სასარგებლოდ, მისი ვითომდა დასაცავად ბანდიტებისაგან.

ახალგაზრდობის სიყვარული კრივისადმი, მისი მისწრაფება სიმამაცის, ძალისა და მოქნილობისაკენ შემაძრწუნებელ სანახაობადაა ქცეული. პროფესიონალური კრივის არაადამიანური წესები, ცუდი საექიმო კონტროლი ხელს უწყობს უბედური შემთხვევების დიდ რაოდენობას რინგზე. ამას წინათ აქ გამართულმა საზოგადოებრივმა კამპანიამ, რომელიც გამოდიოდა პროფესიონალური კრივის წინააღმდეგ, აიძულა მისი მონოპოლისტები დათმობაზე წასულიყვნენ და პროფესიონალური კრივის წესებში მოხდა მთელი რიგი რეფორმები, რაც მიმართულია უშიშროების გაუმჯობესებისაკენ. ამჟამად გარდა მსოფლიო პირველობისა, ყველა შეხვედრა ტარდება უფრო ადამიანური ხელთათმანებით. ნოკდაუნის შემთხვევაში შემოღებულია დათვლა „რვამდე“, მსაჯებს დავალებული აქვთ შეწყვიტონ ბრძოლა ერთ რაუნდში მესამე ნოკდაუნის შემდეგ (მოყვარულთა შეხვედრები 3-რაუნდიანია და მესამე ნოკდაუნის შემდეგ მატჩი წყდება). ნოკაუტირებულ მოკრივეს უფლება არა აქვს გამოვიდეს რინგზე 30 დღის განმავლობაში. მაგრამ მას ხომ კვება სჭირდება, და იგი ყოველნაირად ცდილობს დაარღვიოს ეს წესი. მხოლოდ იმ მოკრივეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს 10-რაუნდიან ბრძოლებში, რომელსაც 20 წელი შეუსრულდა. მსოფლიო პირველობაზე მატჩის ხანგრძლიობა 15-რაუნდიანია. დაწესებულია სხვა შეღავათებიც, მაგრამ პროფესიონალური კრივი კვლავ რჩება სპორტის სასტიკ სახეობად.

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 90

## ნეკროლოგი

### მ. ზ. ხერხეულიძე



გარდაიცვალა მიხეილ ზურაბისძე ხერხეულიძე — ქართული სპორტის მხცოვან მოღვაწეთა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართული ჭიდაობის ლვაწლმოსილი, დაუღალავი მოამაგე და ორგანიზატორი, ფართო დიაპაზონის, მრავალმხრივი ინტერესების მქონე საზოგადოებრივი მუშაკი.

მ. ზ. ხერხეულიძის სახელთან, მის საზოგადოებრივ-სპორტულ მოღვაწეობასთან, რომლის ხანგრძლიობა 30 წელს აღემატება, განუყოფლადაა დაკავშირებული ეროვნული სპორტის, კერძოდ, ქართული ჭიდაობის განვითარება საბჭოთა პერიოდში. ამავე დროს, მ. ზ. ხერხეულიძე ნაყოფიერ, უმწიკვლო მუშაობას ეწეოდა იურისპრუდენციის, თეატრალური ხელოვნებისა და სპორტის ისტორიის კვლევის სფეროებში.

მ. ზ. ხერხეულიძემ საზოგადოებრივ-შრომითი მოღვაწეობა დაიწყო დორპატის (ამჟამად ტარტუ) უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, როცა იგი სამშობლოში დაბრუნდა და ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას იურისპრუდენციის დარგში საქართველოს სხვადასხვა რაიონებში: თელავში, გორში, ხაშურში, ყაზბეგში, გურჯაანში, აფხაზეთსა და თბილისში. იურიდიულ მოღვაწეობასთან ერთად იგი ფართო მონაწილეობას ღებულობდა დასახელებული რაიონების თეატრალურ ცხოვრებაში, წერდა დრამატურგიულ ნაწარმოებებს, თეატრალურ რეცენზიებს, დგამდა სპექტაკლებს და მონაწილეობდა მათში.

მაგრამ ყველაზე მეტად მ. ზ. ხერხეულიძის მჩქეფარე ენერგია, საზოგადოებრივი მუშაობის სიყვარული გამოჩნდა სპორტულ სფეროში, განსაკუთრებით 1928 წლის შემდეგ, როცა იგი გორში სხვებთან ერთად სათავეში ჩაუდგა ქართული ჭიდაობის ორგანიზაციის საქმეს. თანდათანობით გააფართოვა თავისი მოღვაწეობის დიაპაზონი და რამდენიმე წლის შემდეგ თვით უკანასკნელ დღეებამდე, სათავეში ედგა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით სპორტის ამ ეროვნული სახეობის განვითარებისათვის მოძრაობას.

მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში, სადაც მ. ხერხეულიძეს თავისი ღირსეული, დასაფასებელი წვლილი არ შეეტანოს. ამ ხანგრძლივი მოღვაწეობის მანძილზე მის ხელში აღიზარდა ძველი პლეადის მრავალი გამოჩენილი მოჭიდავე.

მ. ხერხეულიძემ დიდი წვლილი შეიტანა ქართული ჭიდაობის მსაჯობის საქმეშიც. იგი შეუცვლელად ხელმძღვანელობდა სამსაჯო მოსამზადებელ სემინარებს, რომლის მეოხებით რესპუბლიკაში 300-ზე მეტი კვალიფიციური მსაჯი მომზადდა. ამავე დროს, მ. ზ. ხერხეულიძე არ სჯერდებოდა მხოლოდ პრაქტიკულ მოღვაწეობას და ნაყოფიერად მუშაობდა ქართული ჭიდაობის ისტორიის საკითხებზე, პერიოდულად აქვეყნებდა ღირსშესანიშნავ წერილებს ქართველ ფალავანთა შესახებ, წერდა შრომას.

ქართული სპორტის მხცოვანი, ღვაწლმოსილი და დაუღალავი მოღვაწე, ახალგაზრდობის მოსიყვარულე და მოამაგე აღმზრდელი, შესანიშნავი ადამიანი, მეგობარი და მუშაკი — ასეთად დარჩება მ. ზ. ხერხეულიძის ნათელი სახე მის მრავალრიცხოვან მეგობრებს, კოლეგებს, აღზრდილებს შორის, ჩვენი რესპუბლიკის მთელ სპორტულ საზოგადოებრიობაში.

## ნარევი

### ჩოგბურთელი — ცხენების პატრონი

როცა ცნობილმა ჩოგბურთელმა ჯერ კრამერმა დაამთავრა ტურნე ავსტრალიაში, მას გამოსვლების გასამრჯელო ავსტრალიური ფულით მისცეს და თან გააფრთხილეს ფულის გადახურდავება სხვა ქვეყნის ვალიუტაზე არ შეიძლებაო.

ამიტომ კრამერმა გადაწყვიტა საგნების ყიდვა. მან იყიდა ყველაფერი, რაც ხელში მოხვდა. უკვე გემზე კრამერმა აღმოაჩინა, რომ უყიდია... ცხენების ჯოგი. მისი ცდა ვისმესთვის შეეჩეჩა ცხენები ამაო აღმოჩნდა. ამიტომ მან დაიტოვა ცხენები და მათ შეარქვა ჩოგბურთის ტერმინები: „დარტყმა მარჯვნიდან“, „მოწოდება“, „მოკლე დარტყმა“ და სხვა.

### ეკლესია თუ ფეხბურთი

როგორც ცნობილია, ჩრდილოეთ ირლანდიის საეკლესიო ხელისუფლებამ, როგორც გამონაკლისი, ნება მისცა თავის ფეხბურთელთა გუნდს მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო პირველობაში მხოლოდ „საღვთო დღეს“ — კვირას. მაგრამ ახალგაზრდულ გუნდს, რომელიც უნდა გამომგზავრებულიყო ლუქსემბურგში ევროპის პირველობაზე, არ გაუღიმა ბედმა. ჩემპიონატის ჩატარებას დაემთხვა აღდგომა. ამიტომ ეკლესიის მოციქულებმა გუნდს სასტიკად აუკრძალეს გამგზავრება.

ეკლესიის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა ფეხბურთელთა ფედერაციამ. სხვანაირად ალბათ არც შეიძლება მომხდარიყო. ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი უიკლენი ჩრდილოეთ ირლანდიაში ყველაზე დიდი დამკრძალავი ბიუროს დირექტორია. ამიტომ იგი ყოველთვის ეძებს ეკლესიის კეთილ განწყობას საკუთარი ფირმის სასარგებლოდ.

### თავდაცვის მიზნით

მას შემდეგ, რაც „ვასკო დე-გამამ“ (რიო-დე-ჟანეირო) წააგო შეხვედრები „ფლამენგოსა“ და „ბანგუსთან“, მისმა გულშემატკივრებმა საყვარელი გუნდის დამარცხება მიაწერეს მწვრთნელს და გადაწყვიტეს მისი მოკვლა. გაიგო რა ეს ამბავი „ვასკო-დე-გამას“ მწვრთნელმა პოლიციაში აიღო ნებართვა რევოლვერის ტარებაზე თავდაცვის მიზნით.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 03942